№ 29 – 1916
კვირა, 17 მკათათვ

წელ. მეოთხე
გამოცემისა

ფასი
12 კაპ



ჰენრიხ თეოდორეს ძე მადერი
პირველი ასოთჩამომსხმელ ქარხნის დამფუძნებელი ჩვენში (თბილისში) 1877 წ. ძლიერ ხელს უწყობდა ადგილობრივ ენათა—ქართულ, სოხურ და სხ —ასოების ჩამოსხმა-გაუმჯობესებას და ბეჭდვითი საქმის აღორძინებას. გარდაიც. 2 მკათათვეს 66 წ-სა.

სახალხო მგოსანი

დავით გიორგილი

(†იხ. ამავე ნომერში)

თ. დავით ზაქარ. ჭავჭავაძე
რუს-იაპონიის ომში ფეხში დაიჭრა, ახლანდელ ომში გერმანიის ასპარეზზე ხელში დაიჭრა. მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, სხვათა შორის, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი. მინდობილი აქვს ქართველთა ცხენოსანი ლაშქრის შედგენა.

17 მკათათვე

ნიღაბაფარებულ- თუ საფქვილეში არ არის **თა მოღვაწეობა**. არც კიდობანში იქნებაო,— ამ ჭეშმარიტების სიმართლეს თითქმის ყველა ჰგრძნობს, მაგრამ საქმით-კი ძნელად თუ ვინმე ცდილობდეს ჩვენი ეროვნული საფქვილე არ დაიცალოს.

ჩვენებურ მესვეურთა უმეტესობა ისე იქცევა, გეგონება საგანგებო მეჯლისზე შესული ნიღაბანი იყოს: შიგნიდან სხვა, გარეგან სხვა, სიტყვით ერთი — საქმით მეორე, გარე-მხატვრობით თვალის მჭრელი — შინაზრახვით — გულის მწყვლელი.

ან და — თუ საქმობენ რასმეს უმეტესად საპირადო-სათავისოდ.

იმას კი არ დაგიდევენ, ესა თუ ის ნა**ბიჯი** ქვეყნის **საქმეს** მოუხდეს, ხალხისა და მამულის სასარგებლო საქმეს შეუწყონ ხელი,— არამედ თავისიანი შეივრდომონ, ყოვლის მხრით **დააპურონ**—რა გინდ უსარგებლო იყოს, ხოლო მოწინააღმდეგე ჯგუფის, ქვეყნისთვის საჭიროც რომ იყოს,—გასთელონ...

ამიტომაც საფქვილე ჩვენი იცლება— კიდობანი ცალიერდება: რწმენა—აზრებით (ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—ეინიანობით) შეუთანხმებელნი, ნივთიერად დასუსტებულნი, ნიადაგის ნელნელა დამკარგავნი, სამწერლო, სასცენო თუ სახელოვნო დარგებშიაც ვიცარებით.

მართლაც ჩვენმა მწერლობამ, თეატრმა თუ სხვა დარგის ხელოვნებამ როგორ უნდა ისულდგმულოს, როდესაც ჩვენი ალხის დიდი უმეტესობა ნივთიერად და სულიერად ჩამოქვეითებულია: თავის ოფლით მორწყულ მიწა წყალზე ისეა, როგორც ჩიტი ნარზე—არ იცის, რომელ მხრით დაუბერავს ქარი ასაფრენად და მზე-დაკრულივით გაბეცებულია: აცა, ეგება ჩვენმა „ნაჰწავლებმა“ გვიშველონ რამეო; ეს „ნაჰწავლები-კი—ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა ერთმანეთის ქიშპობასა და ლანძღვა—თრევაში ათენ-აღამებს, ანუ საკუთარ ნაპუტში შემწყვდეული ზოგჯერ ნიღაბით თუ გაპოდის მზის გულზე,..

რომელი საქმე არ გახადეს ჩვენში საშენ-ჩემოდ: სახალხო სკოლის, კოოპერაციის, და ბოლოს—შავი ქვის...

დღეს არა ნაკლები ბასტი-კუკუ გაუმართვათ ჩვენში არსებულ საადგილ-მამულო კომისიის გარშემო, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით გლეხკაცობისთვის დღევანდელ კერძო მესაკუთრეობის ხანაში ფრიად სასარგებლო დაწესებულებად მიგვაჩნია: იმაზე უდიდესი მოღვაწეობა რაღა იქნება, სამშობლო მიწა-წყალი, ქართველი ხალხის ფეხდასადგამი ნიადაგი—ნამდვილი საქართველო. შენს სისხლ ხორცს — საქართველოს მკვიდრ უმიწა-წყლო გლეხობას შეაძენინონ და საუკუნოდ დაღუპვისაგან დაიფარო!..

და იმის ნაცვლად, რომ ამ დიდებული მიზნის განხორციელებას კომისიის წევრნი და გარეშენიც ეანგაროდ ემსახურონ,

ყოველივე

მის ნაცვლად

ამ საქმეს სულს უნდა უდგავდეს გამოცდილი, გამჭრიახი, ჩვენი ქვეყნის ვითარების კარგა მცნობი, საერთო ნდობით აღჭურვილი, ხალხისთვის სარწმუნო

პირი. ბევრი ჩვენი მამული პირადი ეინიანობით, მოულოდნელი შემთხვევით, სულ უბრალო მიზეზით გადადის უცხოთა ხელში. ამას ხშირად მემამულე — გამყიდავი არ უკვირდება, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი, მამულის დაკარგვის შემაცქერალი გულის ბოლმას მხოლოდ მამაპაპური შეკურთხებით იყრის, ილანძღება,—გზა-კვალი არ იცის სად ვის მიმართოს!.. მამული კი ნოტარიუსის წესით ანუ სამართლის ძალით გადამთიელის ხელში გადადის...

ამ მხრით დიდი სიფხიზლე და თაოსნობის გამოჩენა ჰმართებს ხსენებულ საადგილ-მამულო კომისიას; ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მას დიდს მოვალეობას აკისრებს და ეხლა მასზეა დამოკიდებული მომავალის წინაშე თავს შეირცხვენს თუ პირნათლად გამოვა:—ნიღაბოსან მოღვაწედ დარჩება. თუ ქვეყნის ნამდვილ გულშემატკივრად გარდაიქმნება.

კომპოზიტორი

დიმიტრი არაყიშვილი

მისი ახალი ნაშრომის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედობის“ გამოცემის გამო.

ფიქრები ფრთამოტეხილისა

სმირი

დროებით განვთავისუფლდი ცხოვრების მძიმე ღელვისაგან. სახლში, ჩემს ბინაზე, ვიჯექ და თავისუფლად ვსუნთქავდი. ერთ წამს ვიგრძენ, რომ, თითქო, მეც ცოცხლებში ვწერივარ. მომინდა მზის დანახვა; მზისა, რომელიც კაი ხანია ჩემს ერთადერთს მანუგეშებლად მიმაჩნია. სახლიდან გარეთ გამოვედი და გავყე თბილისის ერთ დიდ ქუჩას; ჩემს ჯკვაში, გასეირნება დავაპირე, რაც ჩემთვის ძვირი ხილია.

ჩვენი სამშობლოს მუდამ მოღიმარე ცა, მერე ისიც მაისის დილაზე, ჯვარისწერისთვის გამზადებულ პატარძალს მომაგონებდა: კეკლუცად, გულ-ღიად და ნაზად გამოიყურებოდა. ხალხი, ჭეტლები, ხმაურობა და საერთოდ დიდი მოძრაობა ამ ქუჩის განუყოფელ თვისებას შეადგენს. მოძრაობას ხელს უწყობს ათასფეროვან საქონლით აჭრელებულ — მოკაზმული მაღაზიები.

ქუჩაში ჩოსიარულე ხალხის სახეზე კაცი მხოლოდ კმაყოფილების ბეჭედს დაინახავდა. ოდნავ ვგრძნობდი ჩემი ძარღვების სიმშვიდეს.

ამ დროს სრულიად მოულოდნელად, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა პატარა სურათმა, — სურათმა, რომელიც ყველას ათასჯერ თავის თვალით უნახავს, მაგრამ გასაკვირველი და, მით უმეტეს, აღსანიშნავი მასში არაფერი შეუმჩნევია:

დუქნის დირეზე ჩამომსხდარიყვენ და ლაზღანდარობდნენ ერთი ოცი-ოც და ორი წლის ახალგაზდა ნოქარი და ზედ მის გვერდით ასე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი, ორივე ფეშტამალ აფარებულები. უმცროსი ამასთან მეტად მადიანად შეექცეოდა ცალიერ პურს. პურის დანახვაზე მათ წინ გაჩერებულიყო ერთი, შამშილისგან ძალზე გალასტული, ქუჩებში მაწანწალა გოშია ძაღლი, რომელიც მეტის ნდომისგან წამიწუმ ტუჩებს აცმაცუნებდა და თვალს არ აშორებდა პატარა ბიჭის გემრიელ ლუკმებს. მაგრამ ამაოდ: ფიქრადაც არავის მოსდიოდა მოწყალეობის გაცემა; ნატეხის გადაგდებას ვინა ჩივის, ნამცეცებიც-კი არ ცვიოდა ძირს, რომ მით გოშიას მცირედად მაინც სული მოებრუნებინა. ალბად. მშიერ ძაღლს მოჰბეზრდა ამდენი უყურადღებობა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ და ისე დაუახლოვდა პატარა ბიჭის ხელებს, რომ თითქმის თავის პაწაწა ცხვირი პურს ზედ მიაჯო.

— მოიცა, მოიცა, რა სცირი გიჩვენო! წამოიძახა ახალგაზდა ნოქარმა, თან მიშინვე წამოხტა და აჩქარებით დუქნის უკანა კუნჭულში შეირბინა რაღაცის გამოსატანად.

წამს არ გაუვლია, რომ ნოქარი ისევ გამოჩნდა; მარჯვენა ხელი ზურგისკენ ჰქონდა გაბრუნებული და მასში შვინდის კეტი ეჭირა მოფარებით. ფეხ-აკრეფით მოუახლოვდა კუჭის ფიქრებით გაბრუებულ ძაღლს, მოიმარჯვა ეს კეტი და გამეტებით დასთხლიშა თავში.

ძაღლი ჯერ დაეცა, მერე ბარბაცით წამოდგა, მორთო მისუსტებული ხმით წკავილი, ჩანჩალით გაუდგა ქუჩას და თან ხშირის თავის ქნევით ცდილობდა აეცილებინა სასხლის ნაკადი, რომელიც მას თვალებს უბურავდა და მზეს უბნელებდა.

— წადი, საცა შენი სთქვა, ჩემიც იქა სთქვი! გამარჯვებულის კილოთი მიაძახა ნოქარმა, და ზედვე ორთავ მეგობრებმა კმაყოფილების ნიშნად ასტეხეს ხარხარი.

კეტზე მეტად ჩემზედ ამ ხარხარმა იმოქმედა!

ჩვენი მოზარდნი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ გამარჯვებით; მაგრამ ვისზე?—ამათთვის ეს სულ ერთი იყო.

ალ. მირიანაშვილი

დავიწყებული მგოსანი
დავით გივიშვილი

„საფლავიც მჭირდეს მკვდარსა მდებარეს,
არვინ მოსძებნის ჩემთვის სამარეს“-ო,—

საოცარის წინასწარმეტყველებით დასწერა თავის თავზე გივიშვილმა, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა 1 მკათათვეს და ამავე თვის 3 ისე დაკრძალეს, რომ თითქმის არავის შეუტყვია,—თითქო უპატრონო მკვდარიაო, სამარის გაჭრაც-კი ძლივს აღირსეს (ისიც დისწულმა) და საჩქაროდ დამარხეს საღამოთი ორიოდე მახლობელ ნათესავისა და ოთხი ჯარის კაცის დახმარებით.

და ის კაცი, რომელიც 45 წელიწადი ქართველ მდაბიო ხალხში ავრცელებდა მწერლობის სიყვარულს, ჩვენს პირველ ხარისხოვან მწერალთა გახალხოსნებას ხელს უწყობდა, ხალხში საუკეთესო იდეალებს ჰნერგავდა, რომელსაც მოძმეთა კეთილ სამსახურისთვის „სიტკბოს ფიალა აევსო გესლით“,—პრესაში ერთი სიტყვითაც არ მოუხსენიებიათ (მხოლოდ სამგლოვიარო განცხადება იყო დისა)...

ასეთია ბედი ბრმა და უსამართლო!

და იქნება ასე იმიტომ მოექცნენ, რომ იგი ერთი უბრალო, უდიპლომო კაცი იყო და სადა, თბილისურ-ხალხური ენით უმღერდა ხალხის ავსა და კარგს?!—ვინ იცის! თითონ მაინც სიცოცხლეში, თურმე, არა ერთხელ უთქვამს: მე ვის რაში მოვაგონდები, ერთი უსწავლელი კაცი ვარო!..

დავითი თბილისის ძველი მოქალაქის სოლომონის შვილი იყო, დაიბადა 1850 წ. 3 გიორგობისთვეს, ავლაბარში. დედა დავითისა იყო ავლაბრელი სომეხ-გრიგორიანის ქალი, ძველი ქართული მწერლობით აღზრდილი: „ვეფხის ტყაოსანი“, „დავითიანი“, „სახარება“, თურმე, ზედმიწევნით სცოდნია.

დავითი რაოდენსამე ხანს სწავლობდა დარიის მონასტერთან კერძო სკოლაში (მოქართულე სომხის ტერტერამ ასწავლა ქართული და სომხური წერა-კითხვა); თუმცა სწავლის შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა, მამამ ნოქრად მიაბარა საეკლესიო ნივთებით მოვაჭრე ივ. ნაზაროვთან, სადაც დავთრების წარმოებას შეეჩვია და ქართულის კითხვით უფრო გაიწაფა. შემდეგ კარგა ხანს ქალაქის სასაკლაოში მსახურობდა, ბოლოს თბ. საეპარქიო სანთლის სავაჭრო სახლში (ავლაბარში).

სწავლა მოწყურებული დავითი, მამის მოწყალეობით, სკოლის გარეშე დარჩა და ამას სიმწარით იგონებს:

„სწავლა არ მომცა მშობელმა:
ამით ვარ ტრუმდის მფრქვეველი,
სიტყვიერ ბოლ გამწარებული
და ჩემი ბედის მწუველი“-ო

მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, დავითი მაინც თვითგანვითარებას დაეწაფა. იმ ხანად ქართული წიგნები ფრიად მცირე მოიპოვებოდა,—ერთად ერთი „ვეფხის ტყაოსანიც“ სიძვირისა გამო მდაბიოთათვის ხელმიუწვდენი იყო, სამაგიეროდ მაშინდელს თბილისის ვაჭრებში ზეპირად ანუ ხელნაწერებად ერცელდებოდა ბაიათები და მუხამბაზები (ბესიკის, საიათნოვას, ალ. ჭავჭავაძის, ბ. ბარათოვის და სხ.), რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ დავით გივიშვილზე.

დავითი 18 წლისა იყო, რომ, ზემოხსენებულ მწერალთა მიბაძვით, საარშიყო ლექსების წერა დაიწყო. პირველი მისი ლექსი დაიბეჭდა 1872 წ. 1875 წ. ცალკე წიგნად გამოსცა თავის ლექსთა კრებული „მგოსანი“; შემდეგ მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ცალკე წიგნაკებად ბეჭდავდა თვის ნაწერთ; გამოცემული აქვს: „ბაზარი“, „თარფი“, „რა დღეში ვართ?“ „!ა ქართველოს სუფრა“, „სანთური“, „წალკოტი“, „თუთიყუში“, „ქოროღლი“, „ქოსას ხარი“ და ოცამდე სხვა წიგნაკი,—ზოგი მათგანი მესამე-მეექვსედაა დაბეჭდილი.

მისი ლექსები სასიმღეროდ თუ საკითხავად სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და მი'ი ლექსების წაკითხვის სურვილით ბევრმა მდაბიომ ისწავლა ქართული წერა-კითხვა და ქართული მწერლობის მუდმივი მკითხველი შეიქმნა.

სხვა რომ არა იყოს-რა, ამ მხრითაც ღვაწლი მისი დიდია.

მაგრამ დავითი ნამდვილი მოაზროვნე

მწერალი იყო, მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების მცოდნე.

მისი ნაწერები როგორც გულსა ჰხვდებოდა, ისე გონებას წრთვნიდა, ზნეს ასპეტაკებდა.

დავითის პირველი ხანის ლექსები სამეჯნურო და სალხინო შინაარსისაა, შემდეგი დროისა საზოგადო საჭირ-ბოროტო საკითხებზე დაწერილი: ბევრი მათგანი იდეური და პოეზიით სავსე.

მისი „მითხარ, მითხარ“, „ბულბულს“, „სასაფლაო“, „ერთი წვეთი““, „სამშობლო ენა“ და მრ. სხვ. დღესაც იმღერებიან. ზოგი ერთი მათგანი გრამოფონზეა გადაღებული.

საზოგადოებრივი უსამართლობა—სოციალური საკითხები, ოჯახური მანკიერება ეროვნული დაცემულება,—ჩვენს მგოსანს ნათლად ჰქონდა შემჩნეული და არა ერთხელ ეხებოდა მათ.

— დავითს გულს უწყლავდა, რომ:

„ცხოვრების მწუემსი-ბატონი
მგელი, ტურა გამხდარა!—
ბოროტის ხე ჭეკვადება, სიკეთისა გამხმარა!..'

რომ აღარა აქვს:

„არც ერთობას სიმტკიცე,
არც სურვილი ძმობასა,
უფლა მისდევს ბოროტსა,
ცულსა მაბეზდრობასა,
მხეცივით ხალხსა ხოცვენ, ნაშენ ადამიანსა“

— იგი ჰხედავდა, რომ მდიდარი ღარიბთა ნაოფლარით მოილხენს და ამიტომ წარბ-შეუხრელად შე!ძახდა მდიდარ კრეჟანგს:

ჩვენის შრომით ფარფარობ,
ჩვენის მწარე ოფლითაო!

— იგი თანამემამულეთა სიდუხჭირეს ხედავდა და გაბედვით ჩასძახოდა:

„.... დედის მაგივრად
გისაკუთრებენ ძიძასა;
მშობლისა ენას კართმევენ,
გაზეპირებენ სხვისასა?“

— ახალთაობას მუდამ ჩამღერდა:

ჭირში, ლხინში შენ მოძმესთვის
იყავ ფხიზლათაო,
შენ სამშობლოს გულისთვისა
კახდი მსხვერპლათაო.

ამავე ნომერში ვბეჭდავთ მისს ორ ლექსს და აქედანაც დაინახავთ, რა რწმენის მწერალი იყო დ. გივიშვილი.

გ—ლი მთელი თვისი სიცოცხლე ხალხში კეთილის დათესვას—ძმობა-ერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა. სიყრმითვე არჩეულ ასპარეზს—სამდაბიო მწერლობას იგი არ ჩამოშორდა, თუმცა ღარიბად ცხოვრობდა და ქონების შეძენაც შეეძლო. ერთ თავის წიგნის წინა-სიტყვაობაში გვეუბნება:

„ზოგთ სარჩო აქვსთ სახელად,
ზოგთა მკლავი მტერთ შემბმელად,—
და მე ეს ჩხაბვა მიჩანს
სახელად და საგონებლად...
ვედი ვსახე ქალდადათა,
კალამს ვუქე სეირნობა...
მე მოგკვდები --ეს დარჩება
და ჩემს სახსოვრად იქმნება,—
გივიშვილმა ქვეყანაზე
მით იარჩია კამდიდრება!“

დიალაც, გივიშვილმა თავისი თავი მწერლობით უკვდავ ჰყო: ეს მაშინ უფრო გამოჩნდება, როდესაც მისი რჩეული ნაწერები შეიკრიფება და გამოიცემა,—ხოლო ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი—ორი ქალი და ორი ვაჟი, უფროსი მათგანი 13 წ.—სრულიად უნუგეშოდ დასტოვა. ნუ თუ ჩვენი მწერლობის ნაამაგდარს მგოსანს კვლავ დავიწყებას მივსცემთ და მის შვილებს მაინც არ ვუპატრონებთ?!

ჩვენი ვალია მათზე ვიზრუნოთ რამ.

შენ-კი, ხალხის საშოდან წარმოშობილო მწერალო დავით, განისვენე მშვიდად: მოვა დრო—მოგიგონებენ და შენც გიცნობენ!..

იოსებ არიმათიელი

დ. გივიშვილის ლექსები

ბულბულს

დაჭკნა ვარდი კოფურნჭვნილი,
ბდახ ბულბულმა იწყო ბდოვა.
ახ! ბულბულო, რისთვის სტირი,
გაზაფხულდი კიდევ მოვა

ვარდი შენი კოფურტდება,
ისევ ისრე დამშვენდება.
ეგ ტირიდი და ეგ მოთქმა,
ისევ ლხინთ შეგეცვლება,
შენ დაუტოვენ ისევ ტკბილთ,
კისკისითა, ხმითა წვრილთ,
დიდვიწყებ ეოველ ნადველს,
რაკი ნახავ ვარდსა შალთ.
მაგრამ რა ვქნა ვარდი ჩემი
იგი ვედარ ვნახავ ველებ,
ვერც შზის ცქერით. ვერც ცის ნამით
ვედარ ეთერით ადმოხნდება
მაშ მე მშარეებს ვლახ ტირიდი,
რო ვარ იმედ-გაწყვეტილი;
ტრემლი არის უნუგეშო
მწუხარების დვიძლი შვილი!

ს ა ს ა ფ ლ ა ო.

ეველგან მოიცვალა სრული სიჩუმე,
სადც განისვენებს ურიცხვი კვამი;
ლიდანს ჩაფეიქრდი ამის მკვრეტი მე,
ფწუეველ ამოო ეს დრო და ყამი.
იქ ადარ სჩანდა დარიბ—მდიდარ,
ერთიგვ მიწა უკვანებდა,
საერთო იეო იგი საზდარი,
ერთი მეორეს არ აწუხებდა,
თითქო იქ ეველა ერთი მეორეს
გულით და სულით ტკბილთ უცქერდა,
იქ ადარც შური და ადარც ბრობა
არ ადელვებდა, გულს არ უძგერდა
ვით ორნი მტერნი შერიგებულნი,
წასულ სიავეს ეხლა ნანობდნენ,
ბოდიშ უხდიდნენ ერთი მეორეს,
ვაის იერიდნენ და ვადადობდნენ.
ზოგან სჩნდა ძეგლი უცხოთ ნაშენი,
მხოლოდ მდიდარი მით ირჩეოდა.
კარეგნობითა ის დასამშვენი
მის შინაგანსაც ეკუთნებოდა?
რა წარგიკითხე ზედ წარწერილი,
ვიცან ვინც იეო მისი სახელი;
მაგრამ შეიქმენ უცებ კრთობილი,
ვნახე დარიბი მის მეზობელი.
ვარქვი: მდიდარო, აკი ამ დარიბს
ვითარცა ჭირსა ერიდებოდი,
და არ ფიქრობდი რომე ერთ დღესა
შენც ამასთანა გასწორდებოდი?

დავით გივიშვილი

პორ. ნიკ. დავ. კიკნაძე

დაბრილია ოსმალეთის ალბარეზზე, ბრძოლაში. დაჯილდოვებულია სტანისლავა 3-2 ხარ., ხმლით და ბანტით; ანნა 4-3 ხარ., სიმამაცისთვის; წარდგენილია ანნა2 ხარ. და ოქროს ხმალზე.

უგრალო მკითხველთა წერილები

ქართველ-სომეხთა ურთიერთობა

რაც გინდა დიდი და უზარმაზარი მუგუზალი დავაგდოთ ერთ ადგილზე, არ გაღვივდება და თავის თავად ჩაიფერფლება, ხოლო თუ შემოუსხდეთ აბერველით და ბერვა დაუწყეთ, გაღვივდება და გუგუნს დაიწყებს.

აი, დღეს სხვა და სხვა ერის გაბატონების მოტრფიალენი ერთი მეორის წინააღმდეგ გამოდიან და საწყალ, გულუბრყვილო მუშახელოსანს, გლეხკაცობას ხელზე იხვევენ და თავიანთ პირად მისწრაფებათა იარაღად იყენებენ. ასე იქცევიან ზოგიერთნი ქართველ-სომეხთაგანიც და ორ, დიდიხნიდან მეზობლურად მცხოვრებ, ხალხში სიძულვილს სთესვენ.

რა თქმა უნდა, შეკნებული ადამიანი ასეთ ბატონების მოწოდებას არ აჰყვება...

ჩვენ ორივე ერის მუშა, სოფლის გლეხებსა და ხელოსნებს დღევანდლამდის ძმურად გვიცხოვრია და კიდევაც უფრო ძმობა-სო-

ლიდარობა უნდა განვამტკიცოთ ურთიერთ შორის, ჩვენ, ქართველნი და სომეხნი, არამც თუ ერთმანეთის მეზობლებს შევადგენთ, არამედ ჩვენა ვართ ერთი მეორის ღაიძლი ძმა და ნათესავები: ქართველი თხოულობს სომხის ქალს, სომეხი—ქართველისას და ნათელმირონობით ხომ არც-კი განირჩევიან ურთიერთ შორის მე ტომით სომეხი ვარ, მაგრამ უხსოვარ დროიდან ჩემ, მამა-პაპას საქართველოში უცხოვრია: მე საქართველოში ვარ დაბადებული, მე ვარ ქართველის მონათლული, მე მყავს რვა შვილი, რვავე ქართველის მონათლული.

მე მყავს სოფელ ძეგვში ქართველი მონათლული; მე დავიბადე სომხის ოჯახში, მაგრამ არც ერთი სიტყვაც არ გამიგონია სომხური; მე აღვიზარდი ქართულ ენაზე და ქართულ ლიტერატურაზე. არამც თუ მარტო მე, ჩემისთანა სომეხი ქალაქ თბილისში ბევრია. ამათ უხსოვარ დროიდან დღევანდლამდე საქართველოში უცხოვრიათ.

ამიტომ, როგორც მე, ისე ჩემისთანა სომხების სამშობლოს შეადგენს საქართველო. აამც თუ ჩვენ, ქართველნი და სომეხნი, არამედ ყველა ერი, ვისაც-კი ძველის დროიდან საქართველოში უცხოვრია, იმის საკუთარ სამშობლოს შეადგენს საქართველო.

სადაც კაცი დაიბადება და აღიზარდება, მისი ბაღდადიც ის არისო.

მუდიკულ (დასასრული)

გზაზე (იხ. „თ და ც." № 15—28)

ოქრო. ცუდად მოქცეულხარ, მაკო, რომ შეგიწუხებია ბედნიერი ადამიანი, რომელსაც ჩემი არსებობა დავიწყებია; აღარ გაიხსენე შენი ოქროს თავმოყვარეობა მაინც? რატომ არა მკითხე? თუმცა ნახევრად მკვდარი ვარ, მაგრამ იმდენი გონება კიდევ შემრჩენია, რომ დამეშალა შენთვის იქ წასვლა... იქნება გაწყრა კიდეც.

მაკ. ოხ, მაპატიე, შემიბრალე, ნუ მტანჯავ, ოქრო! ეხლა გზაში შემხვდა ის, გენაცვალე, და მითხრა, უსათუოდ მენდა ოქრო ვნახოვო და აბა ხომ უარს ვერ ვეტყოდი? რომ იცოდე ხომ აღარ იტყოდი მაგ სიტყვებს? ქეთინოს ისევ უყვარხარ. ის სასოწარკვეთილებაშია. საცაა მოვა.. იქნება კიდეც მოვიდა.

ოქრო რას ლაპარაკობ, მაკო? განა მას ვუყვარვარ? განა ქეთინოს კიდევა ვნახავ სიკვდილის პირსა? ოხ, ზეცავ, შენ ხომ არა მპირდები ამ ნეტარებას?

V

იგინიგე და **ქეთინო.**

(სცენის პირდაპირ კარები ნელ-ნელა იღება. ეტყობა ვიღაცას უნდა შემოსვლა და ვერ ბედავს, უცბად გაიღება კარები და ქეთინო გამოჩნდება ტისფერ კაბაში. ოქრო წამოიწევს, მიაჩერდება: ასე ჭკონია დანდს მოჭკრა თვალიო და შემდეგ განწირული სასოწარკვეთილის ხმით შეჭეიგლებს. ქეთინო სწრაფად გაექანება და ოქროს ჩაეკვრება გულში)

ქეთ. ოქრო, ჩემო დაკარგულო სიტკბოებავ! (შესძახებს ათრთოლებულის ხმით)

ოქრო აჰ, ქეთინო! (გონება ებნევა) ქეთინო, ნუ თუ მარ ლა შენ ხარ? ისევ გხედავ? ეს არის მაკოს ვაყვედრიდი, ნუ შეაწუხებ ბედნიერ ქეთინოს მეთქი! შენ კი თვალები დაგწითლებია?! რა ხელი აქვს ცრემლებს, ან გაცრეცილ ფერს ნეტარ ქეთინოსთან?

ტიტ (ვეღარ იტანს ამ სცენას და სტოგებს მათ)

მაკ. (კუთხეში სდგას ამობუზული)

ქეთ ოხ, ოქრო, ნეტარებას დავსტირი იმ დღეს აქეთ, რაც ალერსი დამიძვირე, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით და აღარ მაღირსე პატარა ბარათიც-კი... გარშემო ჩამძახოდნენ: ოქრომ გიღალატა, ოქროს სხვა უყვარს, ოქრო ცოლს ირთავს, აღარც კი ახსოვს შენი სახეო. მეც მიხაროდა, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა პირდაპირ დაგკითხებოდი.. მოისპო თუ არა ჩვენი ნეტარების კავშირი, სასოწარკვეთილებამ კინაღამ არ გამიტანა, სამშობლოდან გადავიკარგე, მაგრამ გულში მა-

წაიკითხეთ ვანიდან გადმოსახლებულთა ჟურნალი „ვან ტოსპი“. „თითქმის ყველა № მოწიწებით მოუწოდებს თავისი ერის ხალხსა: წავიდეთ და მივეპატრონოთო. მაგრამ, მე და ჩემისთანა სომხებს, რომ მთელი ჰაიასტანი გვაჩუქონ, ჩვენ იქ წამსვლელნი არა ვართ და იმათ კი რომ მთელი საქართველო აჩუქოთ ისინი საქართველოში არ მოიცდიან, ისინი ისევ იქ წავლენ სადაც დაბადებულან.

ერთხელ შემთხვევით ჩამოვიარე კრწანისისაკენ. სადაც მოთავსებული ჰყავთ და ინახავენ სომხის დაწიოკებულ და უპატრონო გადმოხვეწილთა შვილებს.

ერთ პატარა გოგოს შევეკითხე:

— „შენ დედ-მამა გყავს?.

საწყალმა გულ-ამოკენესით მიპასუხა:

— მამა მამიკლეს მტრებმა და დედა ტყვედ წაიყვანეს; არ ვიცი მკვდარია თუ ცოცხალია.

აი, მეორე ვაჟმა რა მიპასუხა:

მთლად აგვაწიოკეს, დიდრონები გაგვექცნენ, წვრილები დავრჩით უპატრონოო“. მე შევეკითხე:

— დიდრონებთან ერთად რატომ თქვენც არ გაიქეცით მეთქი. და აი რა მითხრა:

— პატარა ბავშვებით ვინც წინად გაიქცენ, ბავშვები ვერ ეტარებინათდა საკუთარი ნაშობნი თავიანთივე ხელით მდინარეში გადაეყარათ და თითონ გაქცეულიყვნენ თავის სახსნელათო.

მერე თქვენ მადრიელი ხართ, აქ რო გადმოგიყვანეს.

სრულებითაც არა: ნეტავი ჩვენ იქვე

ინც მარტოდ ვატარებდი შენს მშვენიერ სახეს. თუმცა პალიკო შევირთე, რომ გამებედნიერებინა ის, ვინც პატარაობიდანვე შემომტრფოდა, მაგრამ ჩემი გული ისევ შენ შეოგტრფოდა.,. ოხ, ტკბილო ჩემო საამქვეყნო დიდებავ! შემოგწირამდი ცასა და დედა-მიწას, ჩემს სიცოცხლეს, სუნთქვას, ნიჭსა, ოღონდ კი ბედს შენი თავი ჩემს საკუთრებად გაეხადნა! მაგრამ არა უშავსრა, დამშვიდდი... კარგა გახდი, დიდხანს იცოცხლე, შემდეგშიც შეიძლება ვიყვნეთ მეგობრები, მოსიყვარულე და მოთაყვანე და-ძმა!

ოქრო. ჰმ, აგრე გიყვარდი და ისეთი წერილი—კი მომწერე?

ქეთ. (კოტდება) წერილი მოგწერე?

ოქრო მოიგონე... როდესაც იმ წერილში საბედნიეროდ გზას მილოცავდი და სწორედ იმ წერილის შემდეგ აღარ არის თავის ჭკუაზე შენი ერთგული ოქრო!

ქეთ. ჩემთვის პირველი გაგონებაა; მე მოგწერე? უარი გითხარი? არა, სცდები, ტყუილად დაგიჯერებია!

მაკ. (ძლივს სდგას ფეხზე, დამის არი წაიქცეს მდედგარებისაგან)

ოქრო. მაშ შენ არ მომწერე ის წერილი?

ქეთ. არა, ვფიცავ რაც ჩემთვის წმიდათა-წმიდაა!

ოქრო. (თითქმის დაიდრიალებს) მაშ რომელმა მავნე სულმა მომწამლა? ოხ, ის წყეული წერილი რომ არ მომსვლოდა, ვაპირებდი შენთან წამოსვლას, მაშინ კი ერთმანეთს ვეღარავინ დაგვაშორებდა!

ქეთ. ნუ სწუხხარ, ოქრო, ქეთინო ისევ შენია, შენი მოსიყვარულე და! იცოცხლე და შენის კარგა ყოფნით მეც გამახარე! შენ შემოგწირავ ჩემს არსებას, შენ შემოგწირავ სახელს, შენით ვისუნთქავ, შენით ვისულდგმულებ!

ოქრო. (სასოწარკვეთილი) ახ, ღმერთო ჩემო, ნეტა გამაგებინა სიკვდილის პირას მაინც, ვინ მიყო ეს საქმე, ვინ დამღუპა, ვინ გამომასალმა ამ წუთი-სოფელს?!

მაკ. (სახე საშინლად დაეძრანგება, საზარლად შეჰკივდება და ძირს დაეცემა ოქროს და ქეთინოს წინა. ქეთინო წამოდგება განცვიფრებული) შემიბრალეთ! მომისმინეთ! მომეცით შვება! დამეხმარეთ, მომხედეთ! (ოქრო კოტებით უფურებს, ვერ გაუგია, რა დაემართა, მაკინეს თმა გაეშლება, სახით შეშლილს დაემგსგსება. ქვითინებს. ქვითინით) ოქრო! შენ აღმერთებდი მაკინეს და ის კი არ იცოდი, რო ღირსი იყო შეჩვენებისა? შენ წმიდანი გგო-

პრაპ. ვას. პორ. გოგნიაშვილი
ავსტრიის ასპარეზე ბრძოლაში იერიშის დროს დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი, ხაშმელია, მასწავლებლად ნამყოფი. წარდგენილია პოდპორუჩიკობაზე.

დავხოცილიყავით და ამ უცხო ქვეყანაში არ გადმოვერეკნეთ. ჩვენ სომხები ვართ და ისევ ჩვენს სასომხეთოში გვირჩევნიან. თუ ცოტა დავიზარდენით, ეს ქვეყანა რომ მთლად გვაჩუქონ, ჩვენ აქ არ დავდგებითო.

ამას ყურს უგდებდა ჩემი ორი ვაჟი შვილი და, აი, რა მითხრეს:

— ჩვენ რომ მთლად ჰაიასტანი გვაჩუქონ, იქ არ წავალთო, ესენი კი დაუწიოკებიათ და მაინც იქითკენ მიილტვიანო.

ყველამ თავის სამშობლოს უნდა შეაფასოს თავი და ასევე მოიქცევიან გამოქცეული სომხებიც. რაღა საჭიროა ეროვნულ შუღლი, მით უმეტეს, როცა ეს საერთოდ საზარალოა.

შეგნებული ადამიანი ზნეობრივად მოვალეა ყველა ერებთან განამტკიცოს წმინდა

ნა და ჯოჯოხეთშიაც აღარ აქვს ადგილი?! მეყო მოტყუება, კმარა. დავიღალე, ოქრო, მე ვარ მიზეზი თქვენის დაშორებისა! მე დავწერე ქეთინოს მაგიერ წერილი. შენს ნაწერებსაც არ ვუშვებდი ჩემს ხელს იქით! ტიტიკოსთანაც შენი დაშორება ჩემი ბრალია. ტიტიკო ყოველთვის შენი ერთგული ძმაი ყო, მაგრამ მე... მე ჩამოგიდექით შუაზე. ყველა ეს მოვიქმედე მისთვის, რომ შენ ჩემთან დარჩენილიყავ. მეშინოდა ჩემს გარდა სხვა არავინ დაგპატრონებოდა და შენი ჩემდამი სიყვარული არ შეესუსტებინა. მაგრამ რა ვიცოდი მე ჩაქოლვილმა, რომ საშიშარ მოლიპულ გზაზე ვიდექი და დღეს თუ ხვალ უფსკრულში გადავარდებოდი; რა ვიცოდი, თუ ასე ძვირად დამიჯდებოდა, დაგტანჯავდი, ძმის საშინელი მოღალატე გამოვდგებოდი.. მიშველეთ, შემიბრალეთ! მომასვენეთ, მომკალით, ჩამაქვავეთ! თქვენ წინ დამნაშავე მაკინე! (საშინლად ქვითინებს და სახეს იხოჭს)

ქეთ. (გარინდებული სდგას)

ოქრო. (კიდევ ვერ გამორკვეულა. უცნაურად მისჩერებია სახე შეშლილს მაკინეს. სახე ისე დაეხრანჯება, რომ კაცს შეეზარაგს. რაღაცა უნდა სთქვას და ენა ვებმის. უცბად წამოწევს, ასე ჭკონია, ლოგინიდან უნდა გადმოვარდესო, შემდეგ განწირული, გულის გამგმირავი ადმოხვრით დაეცემა)

ქეთ ოქრო! შენი ჭირიმე! რა მოგივიდა?!

მაკ. (წამოგვარდება) ვაი ჩემს ყოფნას! ოქრო! გენაცვალე რა მოგივიდა?

ოქრო. (უნდა წამოიწიოს, მაგრამ ძალა აღარ აქვს. მარტო ხრიალი მოისმის.)

ქეთ. ოქრო! შენ გენაცვალოს ქეთინო, კიდევ მითხარ რამე!

ოქრო. (კვდება)

ქეთ. (ქვითინით მის გვამს დაემხობა)

მაკინე (გულშემოჭერილი დაეცემა იატაკზე)

ფ ა რ დ ა.

ეპილოგი

წაკითხული უნდა იქმნას ზეპირად, ძალიან მძიმედ და დინჯი ინტონაციით, ბათოსით.)

— მალე მთელ ქალაქს მოედო ხმა: ოქრო სარდიონიშვილი გარდაიცვალაო". უკვე მივიწყებული, თითქო ისევ აღსდგა. ყველანი შეიკრიფნენ მისი ცხედრის უკანასკნელად პატივსაცემად. დიდი ყოფით ემზადებოდნენ მის დასაფლავებას. დანიშნული დღეც თანაუგრძნობდა მგლოვიარობას. ცა მოწმენდილი იყურებოდა. როდესაც დიდ ქუჩაზე მიასვენებდნენ ცხედარს, მთელი ქალაქი გამოსულიყო პატივსაცემად მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო ჰიმნსა და გამოუთქმელ ნაღვლს უსადგურებდა მსმენელთ გულში.—მაკინემ ნათლად და-

გულწრფელი ერთობა სოლიდარობა. განა არა კმარა ამოდენა ხალხის უსამართლო ჟლეტა და უნიადაგო სისხლის ღვრა.

რა ვუყოთ, რომ საქართველოშიაც სხვა და სხვა ხალხი ცხოვრობს?

როგორც შეიცარია ერთ სამშობლოს შეადგენს ფრანგების, გერმანელების და იტალიელებისათვის, ისე კავკასია შეადგენს საკუთარ სამშობლოს ქართველების, სომხების, თათრების, ოსების, ლეკებისა და სხ.

და, აი, ჩვენ კავკასიის ყველა ერნი უნდა შეეერთდეთ, განვამტკიცოთ წმინდა ძმური სოლიდარობა და ამ შეერთებული ძალით კი არ უნდა ვებრძოლოთ რომელიმე ჩაგრული ერს, რომელიც მოკლებულია საკუთარ ეროვნულ თავისუფლებას, არამედ იმას, ვინც ზღუდავს საერთო ეროვნულ უფლებას.

ბუნებამ შემქნა დედამიწა ვიცხოვროთ ძმურად, მოვსპოთ ურთიერთ შორის ქაშპობა და სისხლის ღვრა. ბედნიერებაც ამაშია!..

უბრალო მკითხველი **გალუსტ შიხიანი**

* *
*

ფიქრით ვცხოვრობ ოცნების მხარეს,
ვესაუბრები ნარნარა მთვარეს;
ვეჩურჩულები ვარსკვლავთა კრებას,
ეთერს უმღერი ქებათა—ქებას...

ღრუბელს ვადევნებ აღმაფრენასა,
სხივთა ციმციმის ვსწავლობ ენასა,
ცოდან ყურს ვუგდებ ცხოვრების ენას,
და ცოდეილ მიწას ვავედრებ ზენას.

როცა სოფელში ნიავღვარია,
ეს არის ჩემი ცრემლი ცხარია;
და როცა ნისლი ებურვის ტყესა,
ეს არის ჩემი ფიქრების კვნესა.

გული ვერა სთმობს ცხოვრებას მწარეს,
ფიქრით კი ვცხოვრობ ოცნების მხარეს..

კიკნა — ფშაველი

ტანჯვ-წამება და ქვაზე შეიშალა. (ბაუზა) განვლო ზამთარმა. გაზაფხულმა კვლავ გაცოცხლა ბუნება. მრავალს ნეტარი აღდგომა გაუთენდა, მისგან შვება არ უგვრძნია ეთინოს. ქეთინო აღარა გვანდა ცოცხალ არსებას, რადგან ბედისაგან მწარე სამსალისა სვამდა და აჩრდილს დამგზავსებოდა. ოქროს ღასაფლავების შემდეგ, პალიკომ დაინახა თუ არა ქეთინოს განწირული მდგომარეობა, მაშინვე წაყვანა სამშობლო ქვეყანაში, იმ იმედით, რომ მალე გადეყარა სევდა-ვარამს, მაგრამ იქ კვალად ქეთინოს აღუდგა მკვდრეთითი, თითქო მივიწყებული გამონაცადი. აღსდგა რავდენიმე წამით, მერე კი ისევ გაჰქრა და გულში დაუტოვა აღგზნებული საკირე, რომელსაც გარედან სიცხოვლე არ ეტყობოდა, შიგ კი უხილავი ცეცხლი სწვავდა ბუგავდა. ველარ შეიძლო გაწამებულმა ქეთინომ ოქროს დაკარგვა და დაჭლექდა. გაწყდა სიმი და აღუსრულდა დიდი ხნის ნატვრა, წლის თავზე ეპირებოდა იქ, სანატრელ უცნობ ქვეყნისკენ გაფრენას, იქ, საცა ბედნიერება ელოდებოდა, სადაც თავის ნეტარება ოქრო გულში სამუდამოდ ჩაეკვრ ოდა. აღარ შეეხებოდათ მოშხამული ენა, არ მოხვდებოდათ ბოროტი თვალი

ვახ. გარრიკი

შეცდომის გასწორება: „თ. და ც." № 24-ში, პავშვის სცენაში გამოტოვებულია რეპარკა (ფრჩხილებში) „ამ დროს გაისმის მომხიბლავი მუსიკის ხმა". № 26 დაბეჭდილია: **ოქრო**- განა ადვილია სიყვარულის ვაპრობაო", უნდა იყოს: „განა ადვილია სიყვარულის **გაძრობაო**"; № 27—ში: დაბეჭდილია **პალიკო**—„იქ, სადაც მე ვიქნები, მარტო იქ არის თქვენი ძლიერება: უნდა იყოს: იქ, სა აც მე **გითითებთ**, მარტო იქ რის თქვენი ძლიერება."

თუშური ლექსები

გორს იქით ჩრდილო სოფელო,
მზეო ნისლისგან აყრილო,
ავამე, ჩემო ნანდობო,
გულს უწადინოთ გაყრილო,
ჯერ გემდურები მტრის ენავ,
მემრე გუნებავ შაცვლილო...

ავამე, ვაჰ, შენ, ქალაო,
ნანდობებ შევიყარენით;
დილით შეყრილნი ორშაბათს
საღამოს გავიყარენით;
ვისაც ეწყინა ჩვენ შეყრა,
გავყრილვართ—გაიხარეთ...

ბედ. ბელოვანი

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
ნიკოლოზ ანდრიას ძე ცხადიაშვილი
ფეხის მოკვეთით გარდაიცვალა მიხეილის ლაზართეში
22 აპრ. 1916 წ. სოფ. წერაქვიდან იყო.

სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(დასასრული. იხ. „თ და ც." № 25-27)

კარგა ხანია რაც თედო „პოზიციაზეა". თუ პირველ მოსვლისთანავე ტყვიამ არ დაინდო, ახლა რაღაც ღმერთი სწყალობდა: ბევრჯერ გადაურჩა საფრთხესა.

ჩვენი ჯარი უკუ იქცა. მაგრამ უფროსისაგან ბრძანება მოვიდა, შეჩერდით და მტერს გაუძალიანდითო. მეტი რა ჩარა იყო.

თედოს ბარი ჰქონდა თანა.

საჩქაროდ პატარა მიწა მოთხარა, ისე რომ თავი და ტანი ოდნავ დაეტეოდა. შიგ შეძვრა. ტყვია-კი ზუზუნით მოდიოდა. ამ დროს თედოსთან მოირბინა ახალგაზრდა მისმა ტოლმა პატარა აფიცერმა: შეეხვეწა, მეც მომათავსეო. ის კი არა, თედო ძლივს ეტეოდა შიგა, თედომ იცოდა, ამისთანა ქარიშხალში უფროს-უმცროსობა არ იყო, მაგრამ მორიდებამ და სიბრალულმა სძლია და თავისი თხრილი მას დაუთმო, თვითონ კი იქით გადაირბინა, ერთ ალაგას დაგროვილი მიწა ნახა და მას ამოეფარა.

ამდენ ხანს ბრძოლის ველზე ყოფნამ ძალიან გამოსცადა თედო. ამიტომ ბევრჯერ თავის გამოცდილებით გადაურჩებოდა ხოლმე სიკვდილსა.

—

ერთ კი შეტევის შემდეგ ჯარი სანგრებში ისვენებდა. ახალწლის ღამე იყო. ცივი ქარი წუწუნ-ზუზუნებდა და ნამქერსა ჰყრიდა სანგრებში. ჯარის-კაცები მეტად დაღლილნი იყვნენ. ამიტომ უმეტეს ნაწილს ეძინა: ერთი მეორეს მისწოლიყო გვერდით, რომ ერთმანერთი გათბოთ. დარაჯის გარდა თითქოს ყველას უზრ ნველად თავის სახლში ეძინა.

თედოსაც დამჯდარს ჩასძინებოდა. თოფი იღლაში ამოედო, თავი კალთაზე დაედო და მაგრა ხვრინავდა მძიმედ სუნთქავდა, რადგანაც რაღაც ცუდ იზმარს ჰხედავდა. ჰხედავდა თითქოს მტერი მოეპარა და ყელში ხელს უჭერდა, თითქოს ცდილობდა დაეხრჩო. თედომ უცბად გამოიღვიძა და თოფი მოიმარჯვა. მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, თითქოს აქ არავინ არისო. ახლა ცოტა მარჯვედ დაჯდა, თავის ამხანაგს მიაბჯინა ზურგი და ისევ ჩაეძინა. სიზმრები კვლავ არ ეშვებოდა.

ნახა რომ მისი სოფელი საახალწლოდ ემზადება. რაც კი გააჩნია სოფლელს ყველაფერს ამზადებს. ცოტა შეძლებული ღორს დაჭკლავს, ღარიბი ერთ-ორ ქათამსა. აი თედოს სახლში რაღაც ფაცი-ფუცია. ელისაბედი ინდოურებსა და ბატებს სწვავს, თითქოს თავის საყვარელს შვილს მოელის. ამას წინად თედომ ტყუ ლად-კი არ შეუთვალა სახლში საახალწლოდ იქნებ მოვახერხო ჩამოსვლაო, მაგრამ „კამანდირმა" ჯერ არ გაუშვა. მერმე გაგიშვებო, დ ჰპირდა. მაგრამ ამაოდ ემზადებოდა ელისაბედი და კიმოთე აი სხვა ოჯახებშიაც დიდი სამზადისია. ზოგიერთმა ქვევრიც მოხადა, მაგრამ რა ეახალწლებათ ამ სისხლის წვიმაში,—ფიქრობს სიზმარში თედო, ვინ იცის, ახალწელიწადი კი არა თაკისი თავიც არ ახსოვდეთ სოფელშიო. აბა ვიღა დარჩა ბებრების გარდა? ქალები და ბავშვები, რომელნიც დასტირიან თავის მამას, ძმას, ქმარს. აი სიზმარშიაც კი მოაგონდა ალექსაანთ ოჯახი: როგორ ატირდა, როცა ვეებერთელა ვაჟკაცი გიგო მოუკლეს, მოაგონდა ისიცა, რომ ხელაანთ ტიტო უსინათლო დაბრუნდა, ორივ თვალით დაბრმავებული და მის ოჯახს მეტი ჩარა არა აქვს, რომ სოფელმა სამადლოდ აცხოვროს. და ბევრი სხვა მაგალითი. რაღა შორს წავიდეთ: მისი

ძმა არ იყო, რომ სახლში ვეღარ დაბრუნდა?

ამ სიზმარში იყო თედო, რომ ყუმბარა ზ-დ მის თავზე გასქდა და თედოს ხმაც-კი არ ამოუღია სული ისე დალია.

საბრალო, ახალის წლის გათენებასაც-კი ვერ მოესწრო!

—

კვირა დღეა. სოფლის მეტი წილი ეკლესიაშია. რა ამბავია?

მაზრის უფროსმა მამასახლისს უბრძანა, რაც შეიძლება მეტი ხალხი მოკრიბე ეკლესიის გალავანში, საყურადღებო რამ უნდა ვაცნობო სოფელსაო.

წირვა გამოვიდა, ხალხი გალავანში გამოიკრიბა, მაზრის უფროსის მოლოდინში. დიდი კაკლის ხის ქვეშ ბერი კაცებს მოეყარათ თავი და ლაპარაკობდენ საჭირ-ბოროტო საქმეზე. ცოტა რამ ომზედაც გაისმოდა.

— ნეტა რისთვის შეგვყარა ი ნაჩალიკმა. მოვიდეს ი დალოცვილი, თუ მოდის, თუ არა რაღას გვაცდევინებს?

— არა იცით-რა, რისთვის დაგვიბარა?

— რა ვიცით, ამბობენ, ქვრივ-ოხრებს დახმარება უნდა გამოუვიდესო.

— ნეტა კიდევ არ მოკრიფონ სოფელში სალდათები და...

იქით დედაკაცებს მოეყარათ თავი. მათ წუწუნს საზღვარი არა ჰქონდა. ზოგი სჩიოდა, არაფერი ამბავი ვიცი შვილისაგანო, ზოგი ძმას სწუხდა.

ელისაბედიც ამ მდგომარეობაში იყო. დიდი ხანია რაც თედოსაგან არაფერი გაეგო: რაღაც მოუსვენრად გრძნობდა თავსა, ამიტომ წირვას დაესწრო და ღვთის მშობელს შეევედრა: ჩემი საყვარელი და ნუგეში თედო მაინც გადამირჩინეო.

ჟღარუნების ხმა მოისმა. ხალხი ფეხზე წამოიშალა: „ნაჩალიკი“ მოდისო. მამასახლისი ეტლს გალავნის კარზე დაუხვდა. გადმოვიდა მაზრის უფროსი ეტლიდან და იქ მყოფთ გაბრწყინვებული სახით მიჰმართა:

— ხალხო! იმიტომ დაგიბარეთ, რომ ჩვენი დიდებულ ხელმწიფე იმპერატორის წყალობა გაუწყოთ. მამასახლისო, აბა დაუძახე.

— კიმოთე და ელისაბედ მარინაშვილებო! — გამოიძახა მამასახლისმა.

კიმოთე და ელისაბედი გამოეხმაურენ.

— მომიახლოვდით. ხელმწიფის წყალობა ყველას ეკუთვნის, მაგრამ რახან თედო თქვენი შვილია, ამიტომ თქვენ უფრო მეტად საწყენო ამბავს გაუწყებთ, მაგრამ წყალობა, ის დიდებული წყალობა, რომელსაც იშვიათი ადამიანი ეღირსება ხოლმე, აინაზღაურებს თქვენს დანაკლისსა.

— რა ვქნა, ი ბიჭს ხომ არა დაემართა რა! — ვეღარ მოითმინა ელისაბედმა.

— თედო მარინაშვილი განიგმირა ტყვიითა, — სახელგანთქმული სიკვდილით მოკვდა და მიიღო ყოვლად-მოწყალე ხელმწიფისაგან წმინდა გიორგის ჯვარი მეოთხე ხარისხისა! — დაათავა უფროსმა.

— ვაი, შვილო! — დაიკვნესა კიმოთემ.

— შვილი მომეცით, ჩემი შვილი, — მივარდა გამწარებული ელისაბედი მაზრის უფროსს, — რაში მეპრიანება ეგ ჯვარი, თუ კი ჩემი ლამაზი თედო არ მეყოლება!

მაზრის უფროსმა მხრები აიწია, უკან დაიხია და გაიფიქრა: — აი, სულელი, ვერ შეიგნო ჩემთა სიტყვათა დიადი მნიშვნელობაო!

ჩაჯდა ეტლში და გაემგზავრა.

გამწარებული ელისაბედი ეტლს გამოუდგა, თითქოს მაზრის უფროს უნდა გამოსტაცოს თედოო, მაგრამ უგონოდ მიწაზე დაეცა.

კიმოთემ კი მხოლოდ ეს მოახერხა: — ეჰ, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი!..

მირ. ხარხელი.

—

შეცდომის გასწორება: № 25, მე-6-ე გვ. მე-17 სვ. დაბეჭდილია: „თექვსმეტ კანიანი“, შარვალი უნდა იყოს: „თექვსმეტ **განიანი**“; შარვალი იქვე მეორე სვ. 9 პწკარში დაბეჭდილია „შიშო ოკმელი“ უნდა იყოს: „შაშო ოკმელი“, იქვე 12 პწკ. დაბეჭ „შენ დაუკათ“, უნდა იყოს „შენ დაუკა“.

სიტყვა

(ნადსონისა)

მე რომ ცეცხლივით დამწველი სიტყვა
მუზისგან მქონდეს მონიჭებული,
ბიწიერებას და სიბოროტეს
კდემით შევმოსდი გააფთრებული.
ყველას აღვძრავდი ნისლთან ბრძოლისთვის,
გავშლიდი დროშას სინათლისასა,
შთავბერდი სოფელს ლტოლვას ძლიერსა
ქეშმარიტების ძიებისასა.
შეშინდებოდა მაშინ მსოფლიო
და შეკრთებოდა, ვით ბრალდებული,
ლოდინს უწყებდა თრთოლვით განაჩენს
თავის წარსულზე შენანებული.
სწორედ ამ დროსა, დროსა სიჩუმის,
ჩემი თამამი ხმა იქუხებდა,
მიმოაბნევდა წყრომის ნაპერწკალს
და სიმართლის ცრემლს თვალთ ადინებდა.
მე წილად არ მხვდა ასეთი სიტყვა.
ჩემი სუსტი ხმა არის უძლური.
ჩემს სულს, ბრძოლისთვის განმზადებულსა,
არ ახლავს ძალა ახალგაზდური.
დღეს უნაყოფოდ მიტირის გული,
და ბაგეს აკრავს ყოველრება მწველი,
ვგრძნობ ვერ მივწვდები წინასწარმეტყველს,
რადგან მონა ვარ შეუწევნელი.

ი. ფერაძე

ვ. გუნიას იუბილეს გამო

მოგეხსენებათ, ამ ტოტა ხანში, განძრახულია ვალერიან გუნიას იუბილეს გამართვა. ეს, რასაკვირველია, ფრიად კეთილი აზრია, ჩვენი საზოგადოების კეთილ-გონიერებისა და გულუხვობის მაჩვენებელი: გუნია, როგორც ხელოვანი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მართლაც დიდთ პატივსაცემია. მაგრამ კვაკანიერები და ვიტუვი, რომ უხეირო დროში გვიხდება მისი იუბილეს გამართვა. იმ დროს, როდესაც საქართველოს თითქმის ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზეა გასული და სისხლს დვრის, ხოლო შინ კი ათასგვარი ვაება გვაქვს, რადა თქმა უნდა, ამ დღესასწაულს შესაფერი ელფერი არ ექმნება და უფერულად ჩაივლის. ეს-კი ფრიად სანანური იქნება რაგორც იუბილიარისთვის, ისე ჩვენი საზოგადოებისა და ბრძოლის ველზე გასულთათვის. ამიტომ უმჯობესია მოვიცადოთ და როდესაც ცხოვრება ოვის კალაპოტში ჩადგება, მაშინ გავმართოთ ეს ნამდვილი დღესასწაული, არა თუ მარტო გუნიასი, არამედ თვით ჩვენი სცენისაც. იმას ნუ ვიზამთ, რომ ახალგაზდა მსახიობთა გამწვრთნელის, ქართული სცენის დარაჯისა და ახალგაზრდა მწერლების აღმზრდელის დღესასწაულმა უფერულად ჩაიროს: გუნიას სახელი და დვაწლი დიდია და დიდებული იუბილეც შეეფერის.

ასოთამწყობი ალექსანდრე

ბევდვის უჩინარი მუშაკნი

ასოთამწყობი ზაქარია კოტეტიშვილი
(† 1916 წ.)

იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს, ბეჭვდითი საქმის გავრცელებასა და რიგიანად წარმოებაში რაოდენი მნიშვნელობა აქვს იმ უჩინარ მუშაკს, რომელიც მთელი სიცოცხლე, ხშირად აუტანელ პირობებში მშიერ-მწყურვალი, ერთფეროვან მუშაობით მოქანცული, თითქმის მუდამ ბნელში მყოფი, კაცთა გონებრივ-ზნეობრივ წინსვლას ემსახურება.

ეს ასოთამწყობია, ურომლისოდაც ბრძენ-მეცნიერთა აზრები ქვეყანას ვერ მოეფინებოდა, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ვერ გამოვიდოდა.

დიალ, ფრიად დიდმნიშვნელოვანია ამ უჩინარ მუშაკთა მუშაობა და განსაკუთრებით ამ ორმოციოდე წლის წინად ჩვენში ხომ ცის მანანა იყო, მაშინ, როდესაც ჩვენი

ბეჭდვითი საქმე ახალად იდგამდა ფეხს: მწერლები და გამომცემლები თუ სახელ-დიდებას იხვეჭდენ, ეს უჩინარი მუშაკნი ს ხელ-დიდებასაც მოკლებულნი იყვენ და შესაფერ საზრდო-ჯილდოსაც.

ერთი ასეთი მუშაკთაგანი იყო ზაქარია კოტეტიშვილი, რომელიც 55 წ. ასოთამწყობად მუშაობდა სტამბაში და ზ. ჯიჯინაძის მოწმობით (იხ. მისი „ქართული სტამბა 1627—1916 წ.“) ს. მესხს გაზ. „დროების“ გამოცემაში დიდათ ეხმარებოდა. იმ დროს, ე. ი 70—80-იან წლებში გაზეთს იმდენი შემოსავალიც არა ჰქონდა, ქაღალდი ეყიდნა, არა თუ ასოთამწყობისათვის მიეცა რამე. მუშა ზაქარია, გაზეთის სიყვარულით გატაცებული, მუდამ ერთგულად აწყობდა გაზეთს, რითაც ძლიერ ხ ლს უწყობდა ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერებისა და ქართული პრესის წინსვლის საქმეს.

ასეთი მუშაკნი არ უნდა ავიწყდებოდეს ერს, მაგრამ...

ის მუშა-კაცი, რომელიც 55 წ. უჩინრად და უყვირლად ემსახურებოდა ქართულ კულტურულ საქმეს, არა თუ გვირგვინ-სიტყვებით შეამკეს, ზეიმით დაკრძალეს, არამედ საავადმყოფოში გარდაცვლილი, სრულიად უპატრონოდ, თვით ნათესავთა და თანახელოსანთაგანაც დაუტირებელი დაიკრძალა...

ასე ია უმადური სოფელი...

ნეტარება შენი სულის სიძლიერეს, უჩინარო მუშაკო, ზაქარია, რომ საქვეყნო საქმეს ემსახურებოდი უჩუმრად, უყვირლად, უანგაროდ...

ნეტარ ხსენება სახელსა შენსა!..

ი ელი

არშინ მალ-ალანი, თეატრული ოპერეტა 4 მოქ. ჰ. ჯიბეგოვისა, თარგ. ვ. გიგოშვილისა, 30 თებერვალს ბ.რფუხის საზოგადო კლუბში მეათედ წარმოადგინეს და მაინც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ასევეა თეატრულად და სომხურად მისი წარმოდგენის დროს. პიესა მარტივია, სამიჯნურო შინაარსისა, ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული და ჩვენივე მდაბიო მოქალაქეთა საყვარელი მუსიკით შეზავებული. თარგმანის გასუფთავება ეჭირება, შესრულების მხრივ—ხმათა სისუსტე ეჩნეოდა; მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც მოეწონა და მოსწონს. პიესას ასრულებდენ სცენის მოყვარენი, ზოგიერთნი ისეთნი, რომელნიც მხოლოდ პირველად ამ ოპერეტაში გამოსულან. როლებს უფრო ბუნებრივად და სადათ ასრულებდენ ვ. მარგველაშვილი (თელი); ნ. მირველოვი (ვალი) და ა. უმბრიეევი (სულეიმან). მ. გიგოშვილისას (გულჩარა) როლი სავსებით შეგნებული აქვს, მაგრამ ხმის ბგერათა სისუსტე აუფერულებს, მ. ჯანველოვსა (აკარ) და ნ. ნადირაძეს (იასია) ხმის გაწრთვნა და მიხვრ-მოხვრის განვითარება ეჭირებათ. დამაწრეთ ორივეს ზოგიერთი ადგილები (ცეკვა-სიმღერა) გაამეორებინეს. ო. ფეიქაროვი (ხალა) უეჭველია თავის როლს დასძლევს, მეტის ყურადღებით რო მოეკიდეს. ძველი სცენის მოყვარე ი. რევაზოვი (სულთან ბეგი) უფრო მეტად უნდა სცემდე პატივს სცენას: გადამეტებული მანჭვა-გრეხვა, სქესიურ გრძნობათა გამაღიზიანებელი მიმოხვრა არ შეჰფერის, არც ისაა კარგი, როლის შესაბამად რო არ უჭირავს თავი; ალბად მიტომ თუ გადიოდა წრეს, რო მისი მდგომარეობით ხალხი იცინოდა!

თარგმანი რო შესწორდეს, და ზოგიერთი შეუფერებელი სიტყვები გამოაკლდეს, მომღერალთა ხმა და მუსიკა ერთმანეთს შეეწყოს,—ოპერეტას მუდამ სიამოვნებით დაესწრობა ხალხი: ალბად ხალხი მოწყურებული ნაირ სანახაობას—ცეკვა-სიმღერასა და მეტყველება-მუსიკას, ერთმანეთში შ რთულს. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქონიონ ჩვენი სცენის მუშაკთ.

უსავანო.

სოფ. ლეხაინდრავოში (სენაკის მაზ.) 3 მკათათვეს ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა „მოტყუებულნი“. ბ-მა ხაინდრავამ სიკოიას როლის კარგა შესრულებით ძალიან ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება.

წარმოდგენის შემდეგ აკაკის ხსოვნის აღ ანიშნავად გაიმართა საღამო. სცენას ამშვენებდა აკაკის სურათი. მშვენიერი მოხსენება წაიკითხა თომა გაბუნიამ, რომელმაც ხალხს გააცნო აკაკი და მისი ნაწარმოები. ამის შემდეგ ახალგაზდებმა წაიკითხეს ლექსები. ამ წარმოდგენა-საღამოს გამართვისთვის მადლობის ღირსია ადგილობრივი ინტელიგენცია და, განსაკუთრებით, თომა გაბუნია, რომელიც ითვლება ყველა კულტურულ საქმის ინიციატორად. ერთი შენიშვნა: წარმოდგენის დროს კულისებიდან იცქირებოდენ ბავშვები და მოზრდილები, რითაც შეაბეჭდ ლებას არღეევდენ ამას შემდეგისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ხალხი ბევრი დაესწრო და ღამის 12 ს. ნასიამოვნები დაშალა.

სანჯანელი

ხონის თეატრში ოთხშაბათს, 29 თებერვალს გა-

იმართა მეხუთე მორიგი წარმოდგენა. დასდგეს „პარიზელი ბიჭი“ 2 მოქ. და ვოდ. 1 მოქმ. „დათვი“. კვირას, 3 მკათათვეს წარმოდგენილი იქმნა: „მეორედ გაყმაწვილება“. წარმოდგენებში მონაწილეობდენ მოწვეული მსახიობნი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ხალხი წარმოდგენებს ამ ზაფხულს ძალიან ბევრი ესწრება. ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს აქაურმა დრამატ. საზოგ. გამგეობამ და წრეულს თუ არა, მემრისისათვის მაინც უეჭველად გადაიტანოს სცენა სხვა უკეთეს და ფართო დარბაზში, რომ უფრო უკეთესად და სასურველად მოეწყოს წარმოდგენების საქმე. ამ მიზნ თ უსურვებ აქაურ დრ. საზოგ. გამგეობას დღეგრძელობას, რომ ნაყოფიერ მუშაობისათვის დროით მოეკიდოს ხელი.

შემთხვევით დამსწრე.

დ. ჩოხატაური. არა მგონია, ამ ხანად მთელ საქართველოში მოიპოვებოდეს ისეთი დაბა, ასე გასინჯეთ, სოფელიც კი, რომელიც დღეგანდელ მნიშვნელობას თეატრალური ცხოვრებისათვის დიდს ფასს არ უმზღვებდეს და „ცხოვრების სარკეში“ ჩასახედათ, საზოგადოებრივი უსწორ-მასწორობის გასაფანტავად თეატრის დარბაზში საღამოს თავს არ უფრიდეს. საშუალოდ დ. ჩოხატაურის თეატრის მმართველი და სცენის მოუვარეთ ეს ვერ შეუგვნიათ და სიჩუმეს დაჭმონებიან მაშინ, რადგანაც ამ კვარი შრომა მეტს საჭიროებას წარმოადგენს. თუ ეს მართალი არ არის, მაშ რითი ვგონია ის კარგმოება რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთი წარმოდგენა არ მოუწყვიათ. შეიძლება ისინი საზოგადოებრივ უსულობას, და საერთო მწუხარებას ეწერენ; შეიძლება საბუთად ძალთა სიმცირეს, ხალხის „საქმიანობას“ ასახელებენ, მიკრამ, თამამად ვიტყვი, რომ ასეთი დებულება სრულიად უსაფუძვლო იქნება, რადგან შემძლე ძალები მოიძებნებიან, ხალხიც ზურგს არ აქცევს, მაკრამ თვით ეს ძალები გაუფრებულან, ინიციატორობის ნაბერწკალი გაჭრობიათ და ხალხის ამ ხრივ მესვეურობას უმნიშვნელოდ ხტოვებენ. მართალია, ზოგიერთები რაიმე საქმეში მონაწილეობის მიღებას შეტიჩრობს, სიძაგლობას უწოდებენ, მართალია ტუდი მხარის მხილება ზოგს (სამწუხაროა ის, რომ ეს „ზოგი“ ინტელიგენტთაგან შესდგება) საზიზღროებად მიაჩნია, მაკრამ »ს

ავლაბრის თეატრი იქნება. როგორც შევიტყეთ, ვიდაც გიგოლოვის ხელმძღვანელობით ტახტაჯიანც-ლიბეგოვები ყიდულობენ ბ მურაშკოსეულ ავლაბრის თეატრს. ცამეტი წელიწადია, რაც მურაშკომ თეატრი აიშენა და ამ ხნის განმ ვლობაში მუდმივებინა ჰქონდა ქარ წარმოდგენა, ამიერიდან კი, რადგან ახალ მყიდველთა მიზანია სრულად დააქციონ და სხვა შენობა აიშენონ, ქართულ წარმოდგენების მართვა ისპობა. ნუ თუ ქართველი საზოგადოება ანუ ვინმე კერძო პირი არ გამოჩნდება რომ შენობა ისეთ პირთა ხელში არ გადვიდეს, რომელნიც ყველთვის სცდილობენ თავის გამდიდრებისსათვის ყოველგვარი საზოგადო საქმის ხელის შეშლას

მწიგნობარობა

ჩვენს სამუსიკო მწერლობის დარგს ჩვენმა დაუღალავმა და ცნობილმა კომპოზიტორმა დ. არაყაშვილმა კიდევ ერთი ძვირფასი ნაშრომი შესწირა. ახლახან მოსკოვში გამოვიდა მისი „ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება“ (Грузинское Народное Музыкальное Творчество), რომელშიაც მოთავსებულია 225 ხალხური სიმღერადა 39 სხვა და სხვა დასაკრავი ჰანგი. აქ მოთავსებული ს მღერა—ლექსები შეუკრეფია აღმოსავლეთ საქართველოსა, ჩრდილო კავკასიასა, მთიულთა შორის და დასავლეთ საქართველოში. წიგნში ქართულ სიმღერა-ლექსთა ტექსტების (ქართულად და რუსულად) გარდა მოთავსებულია ჩვენი კომპოზიტორის მშვენიერი მიმომხილვანი „ქართული სახალხო სიმღერა და ქართველთა კულტურა“, და ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის შესახები მისი წერილები სურათებით წიგნი ფართე ზომისაა, შეიცავს 300 გვ. (ბოლოზე დართულ აქვს ბიბლიოგრაფიული ცნობები—301—304 მე.) და ღირს 3 მან. რაიცა ჩვენს დროში ძლიერ მცირე ფასად უნდა ჩაითვალოს. როგორც ვსთქვით წიგნში თავმოყრილია ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხის ხალხური სიმღერა—ლექსები, სამშობლო მუსიკის მოყვარულთ სიამოვნება - სიამაყით აღავსებს. ამიტომაც ფრიად სასურველია ეს წიგნი გავრცელდეს.

ვუსურვებთ ჩვენს დიდათ პატივცემულ ავტორს, დ. არაყიშვილს დღეგრძელობასა და ასეთს დაუდეგარ მუშაობას

ი—ლი

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახალ ქალაქის საზოგადო კლუბი

შაბათს, 16 მკათათვეს

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა მიერ, ადგილობრივ საკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

„რაც გინახავს ცელარ ნახავ“

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარელისა

მონაწილეობენ: ქ. ქ. გოგაშვილისა, ქსენია კამკამიძე, ნინა კამკამიძე, ბბ. გ. ჯაბაური, ალ. გოგაშვილი, ი. კანდელაკი, ი. ძნელაძე, ა ძაძამია, ს. მელიქიშვილი, გრ შა შავშიშვილი, იოს ნავროზაშვილი, ე. კაციტაძე, ნ. კარპუსაშვილი, შალვა იმედაშვილი და სხ

დივერტისმენტი. რეჟის. ი. კანდელაკი

გამგე ი. ტორიკაშვილი.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგ 17 - 24 ივლისს

ოკრშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი - სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი - სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარასკ. სინემატოგრაფი. სიმფონ. ორკ.

შაბ. — სიმფ. კონცერტი

კვირა — საბავშო საღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ ს.

სეზონისასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარფუხისსაზ კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 17—24 კათათვემდე

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

ოკრშაბათი — სინემატოგრაფი; ორკესტრი.

სამშაბათი — სინემატოგრაფი სიმფონიური ორკ.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალში—ორკესტრი.

ხუთშაბათი — „არშინ მალ-ალან“ ქართულად

პარასკევი სინემატოგრაფი. ორკესტრი.

შაბათი — საოჯახო საღამო

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

ქარხანები
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ. ბ.